№ 2/8 5 აგვისტო 2013 წ.

კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, აღმაშენებლის ქ. №126-ში შპს „უნიდენტი“-ს საკუთრებაში არსებულ შენობაზე მანსარდის მოწყობის შესაძლებლობის შესახებ

წარმოდგენილია ქ. თბილისში, აღმაშენებლის ქ. №126-ში შპს „უნიდენტი“-ს საკუთრებაში არსებულ შენობაზე მანსარდის მოწყობის ესკიზური პროექტი.

არსებული შენობის ვიზუალური დათვალიერებისას დავადგინეთ, რომ საპროექტო შენობა ორსართულიანია, ნახევარსარდაფით. შენობის საძირკვლები სავარაუდოდ შესრულებულია ლენტური ტიპს, მონოლითური რკინა-ბეტონის. კედლები შესრულებულია წითელი აგურის, სისქით 0,4 მ. სართულშუა გადახურვების ნაწილი შესრულებულია ლითონის კოჭებს შორის რკინა-ბეტონის მონოლითური გადახურვის ფილის სახით, ხოლო ნაწილი კი შესრულებულია ხის კოჭებზე ხის იატაკების მოწყობით. კიბის კონსტრუქცია შესრულებულია ლითონის კოჭებზე ანაკრები მოზაიკური საფეხურებით. სახურავი შესრულებულია, ხის ნივნივებზე თყნუქის ფურცლების მოწყობით. შენობის მზიდი ელემენტების: კედლების, სართულშუა გადახურვების, კიბის კონსტრუქციის და სახურავის ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე არ შეიმჩნევა არანაირი დეფორმაციის ან საძირკვლების ჯდენის ბზარები, რის საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ შენობის მდგრადობა დღევანდელი მდგომარეობით უზრუნველყოფილია. ამასთან სახურავში სხვენის ხის გადახურვის კოჭების ლოკალური ნაწილის გასაძლიერებლად მოწყობილია ლითონის კოჭი, რომელზეც ანკერებით არის მოჭიმული არსებული ხის

კოჭები. რეკონსტრუქციის დროს შესწალილი უნდა იქნას აღნიშნული ადგილი და გათვალისწინებული იქნას სხვენის დაზიანიებული ხის კოჭების შეცვლა ახალი კოჭებით.

ესკიზური პროექტით გათვალისწინებულია მანსარდის სართულის მოწყობა შენობის მთელ ფართზე. არსებული შენობის საძირკვლებზე დატვირთვების მნიშვნელოვნად გაზრდის თავიდან აცილების მიზნით მანსარდის მზიდი კონსტრუქცია უნდა შესრულდეს მსუბუქი ელემენტების: ლითონისა და ხის კოჭების, გამოყენებით. ესკიზური პროექტის განსახორციელებლად საჭიროა დამუშავებული იქნას პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით.

დასკვნა: ქ. თბილისში, აღმაშენებლის ქ. №126-ში შპს „უნიდენტი“-ს საკუთრებაში არსებულ შენობაზე მანსარდის მოწყობა კონსტრუქტორს შესაძლებელად მიაჩნია, დასკვნაში მოყვანილი მოთხოვნების გათვალისწინებით და რეკომენდაციას აძლევს დამკვეთს წარადგინოს პროექტი ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

შპს „გრაალი”-ს დირექტორი / გ. გეთიაშვილი /